ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **E** და **G** კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო-კონსტრუქციული დასკვნა.

შემსრულებელი: ინჟინერ-კონსტრუქტორი საბა პაპაშვილი

2013 წლის 25 ოქტომბერს ჩემს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის გამზირი № 3-5 –ში მდებარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო **E** და **G** კორპუსების ტექნიკური მდგომარეობა,რათა დაგვედგინა შემდგომი მათ სიახლოვეს ახალი სასწავლო კორპუსის და ფეხმავალთა ხიდის დაპროექტების-აშენების შესაძლებლობა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **E** და **G** სასწავლო კორპუსები აშენებულია გასული საუკუნის 60-იან წლებში. მათი კონსტრუქციული სისტემას წარმოადგენს მზიდკედლებიანს, სართულიანობა შეადგენს 4 და 5-ს. ვიზუალური დათვალიარებით შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მათზე საშიში დეფორმაციები და ბზარები არ შეინიშნება, ამრიგად კორპუსებს შორის დამაკავშირებელი ფეხმავალთა ხიდისა და ახალი კორპუსის აშენება მიმაჩნია შესაძლებლად. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდგომი საინჟინრო ღონისძიებები:

1. ხიდისა და სასწავლო კორპუსის ახალ ნაგებობას უნდა ჰქონდეს არსებული კორპუსებისგან დამოუკიდებელი საძირკვლები და პროექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული შენობების საძირკვლების ჩაღრმავება და გეომეტრიული ზომები;
2. ახალი და არსებული შენობების სიახლოვიდან გამომდინარე შესაძლებელია მათ შორის გასაკეთებელი გახდეს ე.წ. შპუნტების მწკრივი, რათა ახალი შენობის საძირკვლების ქვეშ ფუძე-გრუნტის ჯდენამ არ გამოიწვიოს არსებული შენობის საძირკვლის ქვეშ ფუძე-გრუნტების დეფორმაცია;
3. ახალსა და არსებულ შენობებს შორის დაცული იქნას როგორც სეისმიური, ასევე ჯდენითი ნაკერები;

ინჟინერ-კონსტრუქტორი: საბა პაპაშვილი
04.10.2013

ტელეფონი: 599-32-33-68

მეილი: saba_pap7@yahoo.com

04.10.2013 .